ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 300

23 ივლისი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა №173-ში, კორპუსი №2-ში და კორპუსი №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.002 და №01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა №173, კორპუს №2-ში და კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.002 და №01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 16 ივნისის №21.810.928 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა №173, კორპუს №2-ში და კორპუს №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.09.001.002 და №01.16.09.001.003) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, დანართი №1-ით მოცემულ პირთათვის გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქ თბილისი, ხუდადოვის ქუჩა N173, კორპუსი N2, კორპუსი N3 (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003)					
N	**სახელი გვარი**	**პირადი ნომერი**	**სართული, დაკავებული ბინი ნომერი**	**ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)**	**საკადასტრო კოდი**
1	როსტომ ძაგანაშვილი	01030018532	სართული 4	56.26	01.16.09.001.002.01.512
2	ელენე მასალაევი	01002009808	სართული 3	58.72	01.16.09.001.003.01.519
3	გოჩა ლომთათიძე	01030021211	სართული 4	42.49	01.16.09.001.003.01.522